



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/14

ქ. თბილისი

19 აპრილი 2022

სტუ-ის შიდა აუდიტის სამსახურის ანალიზი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის თ. ურთმელიძის მიერ წარმოდგენილი დასკვნისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დასკვნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშთან დაკავშირებით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე